საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმების მიმოხილვა და ანალიზი

მარიამი ბეწუნაიძე

ანი ჟივჟავაძე

დიანა აბულაძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი:

სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

„ როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამი ბეწუნაიძე

დიანა აბულაძე

ანი ჟივაჟავაძე

თარიღი: 25.06.2017

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმას 1991 წლიდან დღემდე. რეფორმა დაყოფილია რამდენიმე ეტაპად და თითოეულ ეტაპს აქვს განსხვავებული მახასიათებლები. პირველ ნაწილი დაეთმობა სწორედ თითოეული ეტაპის განხილვას წლების მიხედვით, მეორე ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ დაფინანსების პრინციპებსა და წყაროებზე, რომლებიც გამოიყენებოდა კონკრეტული სისტემის ფარგლებში და განვსაზღვრავთ რა როლი ეკავა მათ ამ პერიოდში. ასევე წარმოვადგენთ კონკრეტულ ციფრებს და ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებსაც შევადარებთ მსოფლიოს რამდენიმე განვითარებული ქვეყნების ინდიკატორებთან. მესამე ნაწილი კი დაეთმობა ჩვენს ინდივიდუალურ კვლევას. წარმოდგენილი იქნება კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების ანალიზი. კვლევის მიზანია შევაფასოთ საქართველოში არსებული ჯანდაცვის სისტემები და შევისწავლოთ განხორციელებული რეფორმების ეფექტურობა სხვადასხვა ჭრილში. არსებული ლიტერატურიდან და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უახლოესი ცვლილებები ყველაზე მეტად ეფექტური იქნება საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და შესაცვლელი უნივერსალურ სისტემასთან მისაახლოებლად, თუმცა ეს ის ცვლილებებია რაც ყველაზე მეტად ახლოს არის ჩვენს რეალობასთან.

Abstract

This work is reviewed by the Georgian health system reform since 1991. The reform is divided into several stages and each stage has different characteristics. The first part will be dedicated to reviewing each stage according to years, in the second part we will focus on funding principles and sources used within the specific system and determine what role they have in this period. We also present specific figures and financial indicators that we compare with some of the developed countries' indicators. The third part will be dedicated to our individual research. The

research methodology and analysis of results will be presented. The research aims to evaluate existing health systems in Georgia and study the effectiveness of implemented reforms in different ways. Based on the analysis of the results of the polls and analysis, we can conclude that the closest changes will be most effective for the society, of course, much more needs to be done and the closer to the universal system, but these changes are closer to our reality.